

2016 წლის 15 ივლისი

სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის  
სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანის არჩევნები

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის  
საარჩევნო კომისიის

### შემაჯამებელი ოქმი

არჩევნები დაიწყო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის საბჭოების სხდომათა დარბაზში. საარჩევნო სიები და კენჭისყრის კაბინა განთავსდა უნივერსიტეტის შინაგანაწესის მე-2 თავის მოთხოვნების დაცვით.

საარჩევნო უბანი გაიხსნა 14<sup>55</sup> საათზე, კენჭისყრამდე დაილუქა საარჩევნო ყუთი.

კენჭისყრის დაწყებისთანავე გაიხსნა საარჩევნო ყუთის ლუქი, შედგა შესაბამისი ოქმი და ყუთში მოთავსდა პირველი ამომრჩევლის ბიულეტენი საკონტროლო ფურცელთან ერთად.

კენჭისყრა დაიწყო 15<sup>00</sup> საათზე.

კენჭისყრა მიმდინარეობდა დადგენილი მოთხოვნების დაცვით. რაიმე ინციდენტს ადგილი არ ჰქონია. არ შემდგარა დარღვევის ოქმი.

კენჭისყრა დასრულდა 16<sup>00</sup> საათზე. ბიულეტენები დათვლილი იქნა დადგენილი წესით. ბიულეტენების დათვლის საფუძველზე დადგინდა შემდეგი მონაცემები:

1. სტომატოლოგიური ფაკულტეტის დეკანის არჩევნებისათვის საბჭოს წევრთა სიაში რეგისტრირებული 41 პირიდან, სარეგისტრაციო ჟურნალის მიხედვით რეგისტრაცია გაიარა და ხმა მისცა 34 (ოცდათოთხმეტი) პირმა, რაც შეადგენს სიითი რაოდენობის 83 (ოთხმოცდასამი) %-ს.

ბიულეტენების დათვლის საფუძველზე სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანის არჩევნებში მონაწილე კანდიდატზე ხმების რაოდენობა გადანაწილდა შემდეგი სახით:

სამსონ მღებრიშვილი 34 (ოცდათოთხმეტი) ხმა 83 (ოთხმოცდასამი) %.

ბათილად იქნა ცნობილი 0 (ნული) ბიულეტენი.

მიღებული მონაცემების საფუძველზე თსსუ-ის საარჩევნო კომისია ადგენს:

1. ჩატარებულად ჩაითვალოს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანის არჩევნები და სტომატოლოგიის ფაკულტეტზე დეკანის თანამდებობაზე უფლებამოსილების

ოთხი წლის ვადით, 2020 წლის 15 ივლისის ჩათვლით არჩეულად იქნას ცნობილი:

1. სამსონ მღებრიშვილი

3. დადგენილი წესით დაილუქოს 2016 წლის 15 ივლისის სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანის არჩევნებისათვის განკუთვნილი საარჩევნო დოკუმენტაცია. გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენების უტილიზაცია განხორციელდეს შესაბამისი აქტის საფუძველზე.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე *ნ. ყაყაძი* ნ. ყურაშვილი

კომისიის წევრები:



*ვ. მიქაშავიძე* ვ. მიქაშავიძე

*მ. ივანიაძე* მ. ივანიაძე

*ა. ბუაჩიძე* ა. ბუაჩიძე